უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 34

2018 წ. "19" 04

ქ.თბილისი

,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,2. შპს ინტერბიზნესის აკადემიას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	30	ქართული	7	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
2	ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	17	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	25	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
4	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35	ქართული	11	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
5	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	50	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 19 აპრილის №05 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი